სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

44691205742223

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230248824

რეგისტრაციის თარიღი

27.02.2023 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
ტელეფონი: 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას **ოცდასამი** წლის **ოცდაშვიდ თებერვალს,** მე, საქართველოს ნოტარიუსს **ეკატერინე ძულიაშვილს** სანოტარო ბიუროში, მდებარე: **ქ. თბილისი, დიღმის მას. 3 კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში,** მომმართა მოქალაქე **ბექა დეისაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის **შპს „ევრო სტანდარტ მოტორსი“-ს** დირექტორი და ითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად **ბექა დეისაძემ** /დაბ. **01.09.1987** წელს, მის. **თბილისი, დიღმის მას. V კვ. კორპ. 9, ბინა 1, პ№ 60001055619**/ მომმართა.

შევამოწმე **ბექა** დეისაძის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის **შპს „ევრო სტანდარტ მოტორსი“-ს** დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B19086795**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **12.08.2019**, საიდენტიფიკაციო ნომერი: **401971354**.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, **შპს „ევრო სტანდარტ მოტორსი“-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი **401971354**) დირექტორმა **ბექა დეისაძემ** (პ/ნ **60001055619**), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი“, ბატონ **ბესიკ კალაძეს** (პ/ნ **01010015517**), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი“, საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„მინდობილი პირი“ უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს „ევრო სტანდარტ მოტორსი“-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი **401971354**) ქ. თბილისი მერიის, სსიპ არქიტექტურულ სამსახურთან და ასევე სხვა სახელმწიფო თუ კერძო პირებთან ურთიერთობაში **ქ. თბილისში ავეტიქ ისააკიანის ჩიხი, № 11-ში, (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 01.11.17.006.677)** ასაშენებელი სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტის სათანადო წესით შეთანხმებასთან და მშენებლობის ნებართვის აღებასთან დაკავშირებით.

„მინდობილი პირი“ უფლებამოსილია მერიის ნებისმიერ სამსახურში საზოგადოების სახელით, წარადგინოს ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, პროექტები, ნახაზები, ხელი მოაწეროს ყველა აუცილებელ განცხადებას და სხვა საბუთს, ატვირთოს საიტებზე დოკუმენტაცია, მიიღოს მონაწილეობა პროექტის განხილვასა და დამტკიცებაში და შეასრულოს სხვა ყველა ქმედება, რაც უკავშირდება აღნიშნულ დავალებას. „მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია ხელზე მიიღოს შეთანხმებული პროექტები და მშენებლობის ნებართვები.

„მინდობილი პირი“ ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სახის მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია „მიმნდობი“-ს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ამ მინდობილობით, მოცემული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია **ორიათას ოცდასამი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.**

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა **მიმნდობს.**

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. **შპს „ევრო სტანდარტ მოტორსი“-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B19086795**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **12.08.2019.**

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის **30.00** ლარი თანახმად **„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“** საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **31** მუხლისა + დღგ **5.40** ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის **166** მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური **5.00** ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **39** მუხლისა, სულ გადახდილია **40.40** ლარი.

შპს „ევრო სტანდარტ მოტორსი“-ს დირექტორი: _____

ნოტარიუსი: _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

საქართველო. ნოტარიუსი ეკატერინე ძულიაშვილი * GEORGIA. NOTARY EKATERINE DZULIASHVILI * 01001003353